მემორანდუმი 1/06

საქართველოს ეროვნულ მუზეუმს და ა(ა)იპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი „11" „06" 2012 წ.

ერთის მხრივ

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ბატონ დავით ლორთქიფანიძის სახით

და მეორეს მხრივ

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი") წარმოდგენილი მისი რექტორის, პროფესორ ჯონი აფაქიძის სახით

ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს თნამშრომლობის შესახებ და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1.

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს მხარეთა ურთიერთთანამშრომლობა ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სამუზეუმო სფეროების მიმართულებით.

მუხლი 2.

განათლებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარების მიზნით, მხარეები თანხმდებიან ითანამშრომლონ (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) პროგრამების ფარგლებში, რაც სტუდენტებსა და ახალგაზრდა მკვლევარებს საშუალებას მისცემს სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიზნებისთვის აქტიურად გამოიყენონ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში არსებული მძლავრი მატერიალური და ინტელექტუალური ბაზა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ცალკეული სასწავლო პროგრამების ფარგლებში მომუშავე დაინტერესებული სტუდენტ-მკვლევარებისთვის, წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში, ხელმისაწვდომს გახადის, დადგენილი ნორმების

დაცვით, ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას საქართველოს მუზეუმში არსებულ სხვადასხვა დარგობრივ კოლექციებს, რომლებიც წარმოადგენენ შემდეგ მიმართულებებს:

ა) ბუნების ისტორიის მიმართულება (ბოტანიკური, ზოოლოგიური, გეოლოგია-პალეონტოლოგიური კოლექციები);
ბ) ისტორიის მიმართულება (არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, შუა საუკუნეების არქეოლოგიის, ისტორიის, ხელოვნების ისტორიისა და ეთნოგრაფიის კოლექციები);
გ) საინფორმაციო კოლექციები.

მხარეები ერთობლივად შეარჩევენ იმ წარჩინებულ სტუდენტ-დოქტორანტებს, რომლებიც გაივლიან სტაჟირებას ეროვნულ მუზეუმში, ამავე დაწესებულებაში შესაძლო შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.

მუხლი 3.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საკუთარ სადოქტორო პროგრამებზე, პროგრამაში მონაწილე საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებს უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად გაუწევს ფინანსურ შეღავათებს. ფინანსური შეღავათების დეტალური ფორმები და პირობები წარმოადგენს მხარეთა დამატებითი შეთანხმების საგანს, ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე.

მუხლი 4.

მხარეებს შორის თანამშრომლობა უნდა მოიცავდეს საქმიანობის ფართო სპექტრს, კერძოდ:

ა) კვლევითი, სამეცნიერო მასალების გაცვლა და გამოცემა, რომლებიც დაფუძნებული იქნება მეცნიერულ სიახლეებზე და აღმოჩენებზე;
ბ) ერთობლივი პროგრამების ფარგლებში, მხარეთა შეთანხმებით ორგანიზებულ კონფერენციებში, სემინარებში, გამოფენებსა და სიმპოზიუმებში დოქტორანტების, დოქტორების და პროფესორების მონაწილეობის უზრუნველყოფა.
გ) ორმხრივი ინტერესების ფარგლებში, კვლევითი ჯგუფების შექმნა ბიოლოგიის, პალეონტოლოგიის, არქეოლოგიის, ისტორია-ეთნოლოგიის, ხელოვნების ისტორიის, ანთროპოლოგიის, მედიცინისა და სხვა სფეროებში. ასევე მიზანშეწონილია ერთობლივი საველე ექსპედიციების დაგეგმვა.

მუხლი 5.

სამეცნიერო ინტერესების სფეროების ზუსტი განსაზღვრისათვის მხარეები თანხმდებიან რეგულარულად გაცვალონ ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებულ კვლევით პროექტებზე, ასევე მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებსაც სურთ ამა თუ იმ პროექტში მონაწილეობის მიღება.

მუხლი 6.

მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე. მემორანდუმის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელმოწერის დღიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

მემორანდუმის მოქმედება შეიძლება გახანგრძლივდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში. მემორანდუმი ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ასევე ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, თუკი მეორე მხარე სისტემატურად არ ასრულებს ამ მემორანდუმით შეთანხმებულ პირობებს.

მემორანდუმში ცვლილების ან დამატების შეტანის სურვილის შემთხვევაში, მეორე მხარეს წერილობით უნდა ეცნობოს ერთი თვით ადრე, ვინაიდან არ მოხდეს მემორანდუმის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობის შეფერხება.

მუხლი 8.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ხელმოწერილია მხარეთა მიერ და თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს ეროვნული მუზეუმი	ა(ა)იპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი: ქ. თბილისი	მისამართი: ქ. თბილისი
შ. რუსთაველის გამზირი №3	ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №9
გენერალური დირექტორი	პროფესორი, რექტორი
/დავით ლორთქიფანიძე/	/ჯონი [illegible]ქიძე/